პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

# „სოციალური მეწარმეობა – ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის“

# 2016-2018

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი

CSRDG

ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი

ASB Arbeiter-Samariter-Bund

CSRDG

**საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი**

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი უზუნველყოფს პროექტის მართვასა და პარტნიორების საქმიანობის კოორდინაციას, უხელმძღვანელებს სოციალური მეწარმეობის განვითარების ცენტრის საქმიანობას და უზრუნველყოფს სოციალური საწარმოების ექსპერტულ მხარდაჭერას თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში, ორგანიზებას გაუწევს სოც.მეწარმეთა „იდეების აქსელერატორის“ კონკურსს და უზრუნველყოფს საუკეთესო იდეების ფინანსურ მხარდაჭერას, აგრეთვე, სოციალურ საწარმოთა  შორის - თანამშრომლობის და კოორდინირების მექანიზმების განვითარებას, სოც.მეწარმეობის პოპულარიზაციას  სტუდენტური კონკურსების, სოციალურ საწარმოთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვების, სოციალურ მეწარმეთა ფორუმების საშუალებით;

**ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი**

დასავლეთ საქართველოში პროექტის წარმომადგენლობითი ფუნქცია ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის მთავარი როლია. ის უზრუნველყოფს სოციალური მეწარმეობის განვითარების ცენტრის ფუნქციონირებას ქუთაისსა და დასავლეთ საქართველოში, გაუწევს ექსპერტულ მხარდაჭერას მოქმედ და დამწყებ სოციალური საწარმოებს, განახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს დასავლეთ საქართველოში სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციის მიზნით.

ASB Arbeiter-Samariter-Bund

საქართველოს არბაიტერ სამარიტერ ბუნდის როლია სოციალურ საწარმოთა ხელშემწყობი საკანონმდებლო გარემოს შესახებ საერთაშორისო ექსპერტიზის და გამოცდილების შემოტანა პროექტის გუნდში, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების მხარდაჭერის შესაძლო მექანიზმების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის.

ქრისტალი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია CRYSTAL MICROFINANCE ORGANIZATION

პროექტის პარტნიორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ ხელშეწყობით მოხდება სოციალური საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა: „კრისტალი“ სოციალურ საწარმოებს მათზე  მორგებულ საკრედიტო პროდუქტებს შესთავაზებს, რაც მათ პოტენციალის რეალიზებასა და საქმიანობის სტაბილურობის მიღწევაში დაეხმარებათ.

Brot für die Welt

პროექტის ფინანსური მხარდამჭერი

პროექტის მიზანია, სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდა, რათა მათ უკეთ შეძლონ სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევა და მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური გაძლიერება

## პროექტის მთავარი მიზნის მისაღწევად დასახულია სამი ძირითადი ამოცანა:

ამოცანა 1: სოციალური საწარმოების საჭიროებებზე მორგებული ექსპერტული მხარდაჭერის და ინსტიტუციური გაძლიერების სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ამოცანა 2: სოციალური საწარმოებისთვის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა გაუმჯობესებული კანონმდებლობითა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით.

ამოცანა 3: სოციალურ საწარმოთა ინტერესების დაცვის, კოორდინირების და გამოცდილების გაზიარების მექანიზმების გაუმჯობესება.

## ამოცანა 1. სოციალური საწარმოების საჭიროებებზე მორგებული ექსპერტული მხარდაჭერის და ინსტიტუციური გაძლიერების სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

პროექტის ფარგლებში სოციალური მეწარმეებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების მიწოდება განხორციელდება მთელ საქართველოში. მომსახურების მიღება შესაძლებელი იქნება დასავლეთ საქართველოში ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბაზაზე არსებულ სოციალური მეწარმეობის განვითარების ცენტრში.

## ახალი სოციალური საწარმოს დაფუძნების მსურველთათვის

**იდეების კონკურსი**




- ყოველწლიურად, სამი წლის განმავლობაში, გამოცხადდება იდეების კონკურსი - ,,იდეების აქსელერატორი" - სოციალური საწარმოს დაფუძნების მსურველთათვის;
- კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნება ყველა დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან საინიციატივო ჯგუფს, რომელსაც აქვს ინოვაციური, სიცოცხლისუნარიანი ბიზნესიდეა სოციალური მისიით;
- კონკურსის შედეგად, ყოველ წელს, შეირჩევა 16 საუკეთესო იდეის ავტორი ჯგუფი (თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს 2 მონაწილე) საქართველოს მასშტაბით. შესაბამისად, პროექტში ჩაერთვება 32 მონაწილე;

**სოციალური მეწარმეობის განვითარების ლაბორატორია**



- შერჩეული მონაწილეები გაივლიან,,სოციალური მეწარმეობის განვითარების ლაბორატორიის" სპეციალურად მათთვის შემუშავებულ, ინტენსიური ტრენინგების კურსს, რომელიც დაეხმარება მათ შეიძინონ სოციალური საწარმოს ინიცირებისა და მართვისთვის საჭირო ცოდნა და უნარები;
- ტრენინგების შემდგომ, მონაწილეები, ექსპერტების დახმარებით, საკუთარ იდეაზე შეადგენენ სოციალური საწარმოს ბიზნესგეგმას;
- საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაფინანსდება 4 - 5 სოციალური საწარმოს საუკეთესო ბიზნესგეგმა;

**ექსპერტული მხარდაჭერა**



- დაფუძნებული საწარმოები 1წლის განმავლობაში უზრუნველყოფილნი იქნებიან ექსპერტული მხარდაჭერით დონორი ორგანიზაციების მხრიდან;
- მონაწილეებს, რომელთა ბიზნესგეგმაც ვერ გაიმარჯვებს კონკურსში, პროექტის ექსპერტთა გუნდი დაეხმარება მოიძიონ დაფინანსება სხვა შესაძლო წყაროებიდან.

## საკონსულტაციო მომსახურება მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის

**საკონსულტაციო მომსახურება მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის**



- ყოველწლიურად გამოცხადდება კონკურსი „ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურება სოციალური საწარმოებისთვის“;
- შერჩეული სოციალური საწარმოებისთვის ექსპერტ-კონსულტანტთა გუნდი შეიმუშავებს მათზე მორგებულ, საკონსულტაციო მომსახურების ინდივიდუალურ პაკეტს;

**პრო-ბონო სერვისები**



- შერჩეულ სოციალურ საწარმოებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ საკონსულტაციო მომსახურება წარმატებული „პრო-ბონო საქართველოს“ ქსელის წევრი ბიზნესკომპანიების წარმომადგენლებისგან.

## ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ:

- 95 პოტენციური სოციალური მეწარმე გაივლის ინტენსიურ ტრენინგკურსს;
- მომზადდება 45 ბიზნესგეგმა სოციალური საწარმოს იდეის ავტორებისა და ექსპერტთა გუნდის ერთობლივი მუშაობის და სწავლების პროცესის შედეგად;
- დაფინანსდება 14 სოციალური საწარმო საქართველოს მასშტაბით;
- 20 მოქმედი სოციალური საწარმო მიიღებს მათ საჭიროებებზე მორგებულ, ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას;
- გამოიცემა სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო.

## ამოცანა 2: სოციალური საწარმოებისთვის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა

საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება, სოციალური საწარმოებისთვის ხელმისაწვდომი და მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფა - მიკროკრედიტები და სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები, გადამწყვეტი ფაქტორია არსებული სოციალური საწარმოების გამართულად ფუნქციონირების, დამწყებთა მოტივირებისა და ზოგადად, ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, ერთის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ საწარმოთა ხელშეწყობის მექანიზმების განვითარება, და მეორეს მხრივ - ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება.

### პროექტის შედეგად:

- **მომზადდება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების მხარდაჭერის შესაძლო მექანიზმების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის დოკუმენტი;**

- **მომზადდება რეკომენდაციები სამთავრობო უწყებებისთვის საქართველოში შესაძლო მექანიზმების განვითარების შესახებ;**

- **ჩატარდება კონფერენცია საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის შესაძლო მექანიზმების თემაზე;**

- **პროექტის ასოცირებული პარტნიორის, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ მხარდაჭერით, სოციალური საწარმოებისთვის გაიზრდება მათზე მორგებული საკრედიტო პროდუქტების ხელმისაწვდომობა;**

- **ბიზნესსექტორის წარმომაგენლებისთვის ქართულ ენაზე მომზადდება ინფორმაციული დოკუმენტები Venture Philanthropy და Impact Investment კონცეფციების შესახებ.**

## ამოცანა 3: სოციალურ საწარმოთა ინტერესების დაცვის, კოორდინირების და გამოცდილების გაზიარების მექანიზმების გაუმჯობესება

სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციისთვის პროექტის გუნდი მჭიდროდ ითანამშრომლებს სტრატეგიულ პარტნიორ ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტებთან და მედიასთან.

## სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაცია

- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციას, მოხდება სტუდენტების აქტიური ჩართვა სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესში. შესაბამისად, დაინტერესებულ ახალგაზრდებს მიეცემათ შესაძლებლობა, ახლოს გაეცნონ სოციალურ საწარმოებს და მოსინჯონ საკუთარი ძალები ამ სფეროში. ამ მიზნით ყოველწლიურად ჩატარდება კონკურსი ,,სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად”;

- სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოეწყობა გამოფენა-გაყიდვები.

## სოციალურ საწარმოთა შორის თანამშრომლობის და კოორდინირების მექანიზმები

სოციალურ საწარმოთა შორის კოორდინირების და ინტერესთა დაცვის ერთიანი მექანიზმების განვითარება, სექტორის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ამ პროცესების ხელშეწყობა და ტექნიკური და ექსპერტული დახმარება, ,,სოციალურ მეწარმეთა ალიანსის" დაფუძნება და გაძლიერება.

სოციალურ მეწარმეთა ყოველწლიური ფორუმი საქართველოში 2012 წლიდან ტარდება. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებენ მოქმედი სოციალური საწარმოების წარმომადგენლები, სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციები, დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხელისუფლების და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები. ყოველწლიურად, ფორუმზე, სოციალური მეწარმეები აჯამებენ სფეროში მიმდინარე მოვლენებს, ათანხმებენ სამომავლო გეგმებს და მსჯელობენ თანამშრომლობის საკითხებზე. 2016-2018 წლებში ფორუმის ორგანიზება განხორციელდება პროექტის ხელშეწყობით.

## 2016-2018 წლებში პროექტის შედეგად:

- სამჯერ ჩატარდება კონკურსი „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“;
- მოეწყობა სოციალურ საწარმოთა პროდუქციის, სულ მცირე, 6 გამოფენა-გაყიდვა;
- დაფუძნდება ქართულ „სოციალურ საწარმოთა ალიანსი“;
- მომზადდება „სოციალურ საწარმოთა ალიანსის“ ვებ-გვერდი;
- სამჯერ ჩატარდება სოციალურ მეწარმეთა ყოველწლიური ფორუმი;
- გამოიცემა ქართული სოციალური საწარმოების კატალოგი.

www.csrdg.ge
თბილისი, დელისის I შესახვევი 5 ა
ტელეფონი: +995 32 2 39 90 19
ელ.ფოსტა: office@csrdg.ge

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი

www.kedec.ge
ქუთაისი, გრიშაშვილის მე-4 შესახ. № 3
ტელეფონი: +995 0431 25 13 30
ელ.ფოსტა: admin@kedec.ge

ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი

www.asb.ge
თბილისი, აბაშიძის ქუჩა №41, №28
ტელეფონი: +995 32 2 29 00 06
ელ.ფოსტა: info@asb-georgia.org

ASB Arbeiter-Samariter-Bund